ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №244-2014

ქ. თბილისი 11 ივლისი 2014 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით (**„შემსყიდველი"**), და მეორე მხრივ – შპს „მეგასპორტი" (იურიდიული/ფაქტიური მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. 17 ბინა 27) წარმოდგენილი დირექტორის დ. ჩხეიძის სახით (**„მიმწოდებელი"**), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

1. საველე გაზქურა (CPV39711400 – მაყლები, კომფორები, ელექტროქურები და გამაცხელებლები) – 1ცალიX119.00ლარი = 119.00 ლარი
2. გაზის ბალონი (CPV44 612000 – გათხევადებული გაზის კონტეინერები) – 3ცალიX21.00ლარი =63.00 ლარი
3. კარავი 3 კაციანი (CPV39522120 – ტილოს ფარდულები) – 1ცალიX254.00ლარი = 254.00 ლარი
4. კარავი 2 კაციანი (CPV39522120 – ტილოს ფარდულები) – 1ცალიX217.00ლარი = 217.00 ლარი
5. საძილე ტომარა (CPV39522540 – საძილე ტომრები) – 2ცალიX179.00ლარი = 358.00 ლარი
6. ჭიქა (CPV39221100 – სამზარეულოს ჭურჭელი) – 8ცალიX13.00ლარი = 104.00 ლარი
7. დანა (CPV39221100 – სამზარეულოს ჭურჭელი) – 1ცალიX18.00ლარი = 18.00 ლარი
8. დანა (CPV39221100 – სამზარეულოს ჭურჭელი) – 1ცალიX15.00ლარი = 15.00 ლარი
9. ქუდი (CPV18441000 – ქუდები) – 3ცალიX39.00ლარი = 117.00 ლარი
10. ქუდი (CPV18441000 – ქუდები) – 1ცალიX36.00ლარი = 36.00 ლარი
11. ქუდი (CPV18441000 – ქუდები) – 3ცალიX51.00ლარი = 153.00 ლარი
12. ფეხსაცმელი (CPV 18820000 - სპორტული ფეხსაცმელი) - 2წყვილიX298.00ლარი = 596.00 ლარი
13. ფეხსაცმელი (CPV 18820000 - სპორტული ფეხსაცმელი) - 1წყვილიX264.00ლარი = 264.00 ლარი
14. ფეხსაცმელი (CPV 18820000 - სპორტული ფეხსაცმელი) - 1წყვილიX117.00ლარი = 117.00 ლარი
15. ქურთუკი (CPV 18210000 – ქურთუკები/პალტოები) – 3ცალიX200.00ლარი = 600.00 ლარი
16. საველე ქვაბების კომპლექტი (CPV 39221260 – საველე ქვაბების კომპლექტი) - 1ცალიX136.00ლარი - 136.00 ლარი

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 3167.00 (სამი ათას ას სამოცდაშვიდი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას სტუ-ს მხრიდან განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი) ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან: თამაზ მდინარაძეს (საწყობის გამგე) ნოდარ ფოფორაძეს (სამეცნიერო გარნტი #AR/30/9-150/13-ს ხელმძღვანელი) შორის.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - 2014 წლის 20 ივლისამდე.
4.2. მისამართი ქ. თბილისი, კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე საწყობი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 20 სექტემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. №77 ს.ს. „თიბისი ბანკი" ა/ა GE42TB7338634080100033 ბანკის კოდი TBCBGE22 ს.კ. 211349192	შპს „მეგასპორტი" თბილისი, მცხეთის ქუჩა 17 ბინა 27 ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა GE40TB7427036060100001 ს.კ. 205244216
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი	დირექტორი დ. ჩხეიძე
---	---

სამეცნიერო გრანტი №AR/30/9-150/13-ის
ხელმძღვანელი
ნ. ფოფორაძე